

სანოტარო აქტის მტკიცებულებითი მნიშვნელობა და სააღსრულებო ძალა

გიორგი გოლოშვილი

ნოტარიუსი ქ. რუსთავეში

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სანოტარო აქტის მტკიცებულებითი მნიშვნელობისა და სააღსრულებო ძალის პრობლემა ცენტრალურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება ნოტარიატის თეორიასა და პრაქტიკაში.

სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო წარმოების პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ განსაზღვრული კატეგორიის საქმეებზე ძირითადი მტკიცებულების სახით გამოდის სანოტარო დოკუმენტი, რომელშიც დამოწმებულია განსაზღვრული ფაქტები და გარემოებები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ამიტომაც, ხშირად სასამართლოს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე ფაქტობრივ საფუძვლად ედება ნოტარიულად დადასტურებული დოკუმენტი. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია სანოტარო დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალის საკითხი. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა ყოველთვის იდგა ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ნოტარიატის წინაშე, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, სანოტარო დოკუმენტების ეფექტიანობა პირდაპირაა დამოკიდებული მის მტკიცებულებით ძალასა და მნიშვნელობაზე. სწორედ ამის გათვალისწინებით „კონტინენტური ევროპის სამოქალაქო-სამართლებრივ სისტემაში ოფიციალური, სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტი წარმოადგენს ძირითად მტკიცებულებას, უფრო მეტი ძალის მქონეს, ვიდრე, მაგალითად, მოწმის ჩვენება და სხვა, რომლის ნამდვილობის აღიარებისათვის ყოველთვის საჭიროა მოსამართლის შეფასება“ (1) (ხაზგასმა ჩვენია – გ. გ.).

რატომღაც შეფასებული სანოტარო დოკუმენტი სხვა მტკიცებულებებთან შედარებით „უფრო მეტი ძალის მქონედ“?

ამ კითხვაზე პასუხისათვის საჭიროა გავანალიზოთ, თუ რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება სანოტარო დოკუმენტი და როგორია მისი ფაქტობრივი და იურიდიული საფუძვლები. უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნოტარიუსს ეკისრება უდიდესი როლი და პასუხისმგებლობა ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესებისა და უფლებების დაცვაში, მათი სამართლებრივი უსაფრთხოების, იურიდიული სტაბილურობისა და გარანტირების უზრუნველყოფაში. სწორად ნოტარიუსის შედგენილი და კანონის შესაბამისად დამოწმებული სანოტარო დოკუმენტი ხსნის გაურკვევლობას მხარეებს შორის ურთიერთობებში, მათ უფლებებსა და მოვალეობებში. ამის გაკეთება კი სანოტარო დოკუმენტს მაშინ შეუძლია, თუ კი იგი კანონით დადგენილი წესებით ადასტურებს განსაზღვრული ფაქტებისა და გარემოებების არსებობას, ან არარსებობას, რითაც საფუძველს აცდის მათთან დაკავშირებული დავების წარმოშობას. ამ თვალსაზრისით

სანოტარო დოკუმენტი წარმოადგენს „მზა მტკიცებულებას“ და თანაც სხვებთან შედარებით „უფრო მეტი ძალის მქონე“ მტკიცებულება.

სანოტარო დოკუმენტს, როგორც მტკიცებულებითი ძალის მქონე აქტს, უნდა გააჩნდეს ისეთი ძირითადი ნიშანი, როგორცაა ნამდვილობა. ეს ნიშანი მაკვალიფიცირებელია და მის გარეშე სანოტარო დოკუმენტის სისწორე ეჭვის ქვეშ დგება. სანოტარო დოკუმენტის ნამდვილობაში იგულისხმება მხარეთა ნების, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, საქმის გარემოებებისა და ფაქტების სრული, გარკვეული არაორაზროვანი და ობიექტური ასახვა სანოტარო დოკუმენტში. ნოტარიუსი თავისი ფუნქციების განხორციელებისას სანოტარო აქტს ანიჭებს ნამდვილობის სტატუსს და უდავო ხასიათს. ამასთან, იგი მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუ მხარეთა ნებას, ფაქტებსა და გარემოებებს ასახავს ჭეშმარიტად; ე. ი. თუ მხარეთა ნება, ფაქტები და გარემოებები დოკუმენტში ასახულია ობიექტური რეალობის შესაბამისად და მითითებულია იმ პირველწყაროზე, რომლებსაც ემყარება ნოტარიუსი სანოტარო დოკუმენტის შედგენისას.

ყოველი კონკრეტული სანოტარო მოქმედება დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან, რომელიც თავის მხრივ საფუძველს ქმნის მხარეთა შორის ურთიერთობის სანოტარო გაფორმებისათვის. ე.ი. ამ უფლებებისათვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭებისათვის. იურიდიული ანუ სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება წარმოიშვას იურიდიული ფაქტების /მოქმედებებისა და ხდომილებების/ საფუძველზე, ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც იურიდიული ნორმები განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებენ. აქედან გამომდინარე

ნოტარიუსი ვერ განახორციელებს ვერცერთ სანოტარო მოქმედებას, თუ მან არ დაადგინა გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები. ხაზი უნდა გაესვას, რომ ნოტარიუსის ამოცანაა არა უბრალოდ სანოტარო მოქმედების განხორციელება, არამედ სწორი სანოტარო მოქმედებების განხორციელება, რომლის შედეგი იქნება სრული მტკიცებულებითი ძალის მქონე დოკუმენტი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ნოტარიუსი დაადგენს სანოტარო მოქმედების განხორციელებისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების ობიექტური ჭეშმარიტების შესაბამისად, ე. ი. ისე, როგორც მათ ადგილი ჰქონდა სინამდვილეში.

ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების განხორციელებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტების სწორ შემეცნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია სანოტარო დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალისათვის. შემეცნება კი შეიძლება ორგვარი იყოს – უშუალო და შუალობითი. უშუალო ცოდნა /შემეცნება/ დაკავშირებულია შეგრძნებებთან, აღქმებთან, იმასთან, რასაც ჩვენ ვხედავთ, ვისმენთ, ვყნოსავთ, შევცხებით და სხვა. ასეთია ჩვენი ცოდნა მაგალითად, იმის შესახებ, რომ „დღეს კარგი ამინდია“, რომ „ჭაერში აგდებული ქვა ჩამოვარდა“ და სხვა. უშუალო შემეცნება ემყარება ცოცხალ განჭვრეტას, რომელიც გვაძლევს ცოდნას სინამდვილის მოვლენების გარეგანი, ზედაპირული თვისებების შესახებ (2).

იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ გარემოებების, მოვლენებისა თუ ფაქტების დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია, მაშინ მიმართავენ ე. წ. შუალობით შემეცნებას, რომლის დროსაც ჯერ წინასწარ ვადგენთ გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს, ხოლო შემდეგ ამ ფაქტებისა და გარემოებების საშუალებით – ჩვენთვის საინტერესო და საჭირო ფაქტებსა და გარემოებებს.

სანოტარო მოქმედების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და გარემოებები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. ფაქტები და გარემოებები, რომლებიც განეკუთვნებიან წარსულს (ნამყოს) ე. ი. რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში. მათი დადგენა უშუალო შემეცნების ხერხით შეუძლებელია. ასეთი ფაქტებისა და გარემოებების დადგენა ხდება გაშუალებული გზით, ე. ი. მტკიცებულებების გამოყენებით; 2. ფაქტები და გარემოებები, რომლებიც არსებობენ და განაგრძობენ არსებობას უშუალოდ ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების განხორციელების პროცესში (ე. წ. აწმყოს ფაქტები) და ამიტომ შესაძლებელია მათი უშუალო (გრძნობადი) აღქმის გზით დადგენა.

ფაქტებისა და გარემოებების შემეცნება და შეფასება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია. შეფასება ყოველთვის გულისხმობს შემეცნებას და შემეცნების მიზანი ყოველთვის არის შეფასება.

შემეცნება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ემყარება ლოგიკის ზოგად წესებს და გამოდის უშუალო, ან შუალობითი სახით. ნოტარიუსი სანოტარო დოკუმენტის შედგენისას იყენებს შემეცნების ორივე ფორმას.

ნოტარიუსი შეიმეცნებს რა ამა თუ იმ გარემოებებსა და ფაქტებს, აკეთებს განსაზღვრულ შეფასებებსაც. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სანოტარო დოკუმენტი (აქტი) ნოტარიუსის შემეცნებითი და შეფასებითი საქმიანობის შედეგია. ეს მოსაზრება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება იმ გარემოებას, რომ სანოტარო მოქმედება, რომელიც მოწესრიგებულია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციით“ და სხვა ნორმატიული აქტებით, წარმოადგენს განსაზღვრული დოკუმენტების (აქტების) და ფაქტების (3) შეკრებასთან, შემოწმებასთან, შეფასებასა და სანოტარო გაფორმებასთან დაკავშირებულ პროცესს.

სანოტარო პრაქტიკაში ყველა ფაქტი და გარემოება, რომლებთანაც ნოტარიუსს უხდება შეხება, აწმყოს, ან ნამყოს ფაქტებია. მაგალითად, მემკვიდრეობის საქმეზე მამკვიდრებლის გარდაცვალება ნამყოს ფაქტია, ე. ი. ისეთი ფაქტი, რომელიც განეკუთვნება წარსულს და ამიტომ მისი დადგენა ნოტარიუსს უშუალო შემეცნებით არ შეუძლია. იგი გაშუალებული გზით, ანუ განსაზღვრული მტკიცებულებების გამოყენებით უნდა დადგინდეს. ასეთ მტკიცებულებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოადგენს სათანადო სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი. ეს დოკუმენტი თავისი შინაარსითა და ფორმით უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში ასეთი დოკუმენტი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული მოქალაქის გარდაცვალების მოწმობაა. იგი წარმოადგენს მტკიცებულებას მოქალაქის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ეს დოკუმენტი

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის ჯერ კიდევ საკმარისი არა არის – საჭიროა გარდაცვლილი პირის იდენტიფიკაცია მამკვიდრებელთან (სამკვიდროს დამტოვებელთან). ამისათვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ რეკვიზიტებს (4). საჭიროა აღინიშნოს, რომ გარდაცვალების მოწმობის ამჟამად მოქმედი ფორმა სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც მას წაყენება პირის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით.

გარდაცვლილი პირის იდენტიფიკაცია მამკვიდრებელთან ხდება განსაზღვრული ნიშნებით, რომლებსაც გარდაცვალების მოწმობა რეკვიზიტების სახით უნდა შეიცავდეს. ამჟამად მოქმედი ფორმის მიხედვით გარდაცვალების მოწმობა მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: სახელი, გვარი, მოქალაქეობა, გარდაცვლილის ასაკი, გარდაცვალების თარიღი, გარდაცვალების ადგილი, გარდაცვალების მიზეზი, გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, რეგისტრაციის ადგილი, მოწმობის გაცემის თარიღი, გამცემი ორგანოს დასახელება, თანამდებობის პირის ხელმოწერა და ბეჭედი.

მემკვიდრეობის საქმეზე გარდაცვალების მოწმობის ძირითადი მიზანია გარდაცვლილის იდენტიფიკაცია სამკვიდროს დამტოვებელთან. იძლევა თუ არა იდენტიფიკაციის სრულ შესაძლებლობას გარდაცვალების მოწმობის ზემოთმითითებული რეკვიზიტები? თუ დავუკვირდებით, ამ რეკვიზიტებიდან იდენტიფიკაციისათვის გამოდგება მხოლოდ 4 რეკვიზიტი (სახელი, გვარი, ასაკი, გარდაცვალების თარიღი, გარდაცვალების მიზეზი) მასში მოცემული თექვსმეტი რეკვიზიტიდან. ეს განსაზღვრულ სირთულეებს ქმნის იდენტიფიკაციისას, რაც წარმოშობს შეცდომის დაშვების საშიშროებას. იდენტიფიკაციისას შეცდომის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარდაცვალების მოწმობაში დამატებითი მონაცემების შეტანა, კერძოდ:

1. გარდაცვლილის დაბადების თარიღი; 2. გარდაცვლილის დაბადების ადგილი; 3. გარდაცვლილის ბოლო საცხოვრებელი (რეგისტრაციის) ადგილი. ხოლო მომავალში, როდესაც ყველა მოქალაქეს ექნება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, გარდაცვალების მოწმობაში ერთ-ერთ რეკვიზიტად აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს პირადი ნომერი (5).

2. ვფიქრობთ, რომ ასეთი შინაარსის მქონე მოწმობა გაადვილებს პიროვნების იდენტიფიკაციას და თავიდან აგვაცილებს შეცდომის საშიშროებას. ამიტომ მიზანშეწონილია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესრულებისას (განსხვავებით სასამართლოსაგან მართლმსაჯულების განხორციელებისას) ვერ დაემყარება მოწმეთა (6) ჩვენებას. იგი როგორც პრევენტიული მართლმსაჯული, რომლის მიერ შესრულებული სანოტარო დოკუმენტი წარმოადგენს „უფრო მეტი ძალის მქონე“ დამამტკიცებელ საბუთს, საფუძვლად იდებს მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომელთა სისწორეში და უტყუარობაში მას ეჭვი არ ეპარება. ხოლო ეჭვის შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს საეჭვო დოკუმენტის საექსპერტო შემოწმება.

წარსულის ფაქტებსა და გარემოებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი შეამოწმებს და შეაფასებს იმ დოკუმენტებს, რომლებიც მტკიცებულებების სახით

წარუდგინეს მას სანოტარო მოქმედების შესრულების მოხონელება პირებმა. ეჭვს არ იწვევს ის, რომ ნოტარიუსი თავისი პროფესიული საქმიანობისას აკეთებს განსაზღვრულ შეფასებებს. ეს შეფასებები უმრავლეს შემთხვევაში ეხება იმ მტკიცებულებებს, რომლებიც წარსულის ფაქტებთანაა დაკავშირებული. ნოტარიუსი მათ ძირითადად ორი თვალსაზრისით აფასებს, კერძოდ: ა) ნოტარიუსი მათ, უპირველეს ყოვლისა, აფასებს უტყუარობის თვალსაზრისით და ბ) იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება თუ არა იგი საფუძვლად დაედოს კონკრეტული სანოტარო მოქმედების განხორციელებას.

ნოტარიუსის საქმიანობა მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „ნოტარიატის შესახებ“, „ინსტრუქციით სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ (შემდეგში – „ინსტრუქცია“) და სხვა ნორმატიული აქტებით. სანოტარო მოქმედება განსაზღვრული პროცედურების შესრულებას გულისხმობს, რომლის წესი წინასწარაა დადგენილი „ინსტრუქციითა“ და სხვა აქტებით. რადგანაც ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობა მოწესრიგებულია სამართლის ნორმებით, ეს საქმიანობა იურიდიულ ფორმებში მიმდინარეობს და მისი შედეგიც იურიდიული მნიშვნელობისაა. ამ საქმიანობაში მთავარი ისაა, რომ ნოტარიუსი, განსხვავებით სასამართლოსაგან, იურიდიულ ფორმებში აყალიბებს მხარეთა ნებას, მათ ურთიერთობებს, ანიჭებს მათ იურიდიულ მნიშვნელობას და ამით იცავს და უდავოს ხდის მხარეთა უფლებებს (ფაქტებს).

რიგ შემთხვევებში სანოტარო დოკუმენტი შეიძლება გამოდიოდეს დამამტკიცებელი საბუთის, ანუ მტკიცებულების როლში. ეს კი ყველაზე ხშირად ეხება უფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სადაც სანოტარო დოკუმენტმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს, როგორც „ძირითადად მტკიცებულებამ.“ უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე უფლების ფლობა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ არ არის ამ უფლების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა. ე. ი. არ არსებობს უფლება, თუ არ არსებობს მისი დამამტკიცებელი საბუთი. ეს დებულება კიდევ უფრო ნათელს ხდის სანოტარო დოკუმენტის (აქტის) მტკიცებულებით მნიშვნელობას. მხარეების მიერ შედგენილი კერძო ხასიათის აქტი (ე. ი. აქტი, რომელიც არ არის დამოწმებული ნოტარიულად) არ შეიცავს რაიმე გარანტიებს მის წარმოშობასთან დაკავშირებით და თუ ერთ-ერთი ხელისმომწერი მხარე უარს იტყვის მასზე, მაშინ იმ მხარემ, რომელსაც სურს გარიგების ნამდვილობის (რეალობის) დამტკიცება, ეს რეალობა უნდა ამტკიცოს სასამართლოს მეშვეობით. სანოტარო დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა კი გულისხმობს საპირისპირო წესს – ის მხარე, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს სანოტარო დოკუმენტის დებულებებს, ვალდებულია ამტკიცოს სანოტარო აქტის უსწორობა სასამართლოს მეშვეობით და აღძრას პროცესი სიყალბის ფაქტთან დაკავშირებით.

სანოტარო დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა და მნიშვნელობა განსაზღვრულია იმით, რომ თვით მასში მოცემული ფაქტები და გარემოებები შეკრებილი, შემეცნებული და შეფასებულია ნოტარიუსის მიერ კანონმდებლობის დაცვითა და ლოგიკის ზოგადი წესების შესაბამისად, რომ მასში მოცემულ

თითოეულ დებულებას გააჩნია მტკიცებულებითი (ფაქტობრივი) საფუძველი პირველადი დოკუმენტების სახით. ამიტომ სანოტარო დოკუმენტში ასახულ მხარეთა ნებას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ფაქტებსა და გარემოებებს მინიჭებული აქვთ ნამდვილობის სტატუსი და უდავო ხასიათი, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებენ სანოტარო აქტის მტკიცებულებით მნიშვნელობასა და სააღსრულებო ძალას.

სანოტარო დოკუმენტის აღსრულებითი ძალა ნიშნავს იმას, რომ მხარეები ვალდებული არიან განუხრებლად დაიცვან და შეასრულონ სანოტარო დოკუმენტის ყველა დებულება. სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან შეასრულონ საჭირო მოქმედებები იმ უფლებათა რეალიზაციისათვის, რომლებიც დადასტურებულია სანოტარო დოკუმენტით.

სანოტარო დოკუმენტის სააღსრულებო ძალის პრობლემასთან პირდაპირ კავშირშია სააღსრულებო წარწერის საკითხი. სამწუხაროდ, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო წარწერის შესრულებას. ამასთან, მასში ყველაზე ნათლად და პირდაპირ ჩანს სანოტარო მოქმედების სააღსრულებო ძალა. ნოტარიუსის მიერ გაკეთებული სააღსრულებო წარწერა ფაქტიურად წარმოადგენდა სააღსრულებო დოკუმენტის ერთ-ერთ ნაირსახეობას. ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 352-ე და 353-ე მუხლების მიხედვით სანოტარო ორგანოების მიერ შესრულებული სააღსრულებო წარწერები განეკუთვნებოდა საბუთების იმ კატეგორიას, რომლებიც შეიძლება აღსრულებულიყო იძულებითი წესით, ისე, როგორც სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი (7).

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო წარწერის შესრულების წესი სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იქნა უარყოფილი მოქმედი კანონმდებლის მიერ. სამოქალაქო ბრუნვაში არის მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც დავალიანება ამოღებული (ან ნივთი უკანონო მფლობელისაგან გამოთხოვილი) უნდა იქნეს უდავო წესით, სასამართლო პროცესის გარეშე ნოტარიუსის მიერ შესრულებული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე. სააღსრულებო წარწერების სასარგებლოდ მრავალი არგუმენტი არსებობს მაშინ, როდესაც საპირისპირო არგუმენტების მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. საკმარისია მივუთითოთ თუნდაც იმაზე, რომ სააღსრულებო წარწერა თავიდან გვაცილებს რთულ და ხარჯიან სასამართლო პროცესს განსაზღვრული კატეგორიის საქმეებზე, თავიდან გვაცილებს საქმის გაჭიანურების შესაძლებლობას, მითუმეტეს მაშინ, როცა საქმე გვაქვს არაკთილსინდისიერ მოვალესთან, თავიდან გვაცილებს სასამართლოში საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და, რაც მთავარია, აძლიერებს იმ ეფექტსა და პრევენციულ მნიშვნელობას, რაც გააჩნია იძულებითი წესით ვალდებულების სწრაფ და უპირობო აღსრულებას.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ლათინური ნოტარიატის სამართლებრივი სისტემა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ რიგ შემთხვევებში აღსრულება მოხდეს მხოლოდ სანოტარო დოკუმენტის საფუძველზე ისევე, როგორც ეს ხდება სასამართლო გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს

ერთი აუცილებელი პირობა – მოვალემ უნდა განაცხადოს თანხმობა, რომ იძულებითი აღსრულება მოხდეს სანოტარო დოკუმენტის საფუძველზე. ამის შესახებ ჰანს-იაკობ პიუტცერი აღნიშნავს: „ლათინური ნოტარიატის მქონე ყველა სამოქალაქო სამართლებრივი სისტემა სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე იძულებითი აღსრულების პარალელურად უშვებს აგრეთვე აღსრულებას სანოტარო დოკუმენტების საფუძველზე, თუ სანოტარო აქტში მოვალემ გამოხატა თანხმობა დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას. ამ შემთხვევაში სანოტარო დოკუმენტი უთანაბრდება სასამართლო გადაწყვეტილებას (8)“ (ხაზგასმა ჩვენია – გ. გ.). ვფიქრობთ, რომ ეს დებულება, რომელიც ლათინური ნოტარიატის პოსტულატთა რიცხვს განეკუთვნება, უნდა განმტკიცდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობაშიც, რომელიც აღიარებს ლათინური ნოტარიატის პრინციპებს და ისწრაფვის მასში გაწევრიანებისაკენ. ჩვენი აზრით, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უნდა იყოს ის, რომ თავის უფლებებში აღსდგეს სააღსრულებო წარწერა.

სააღსრულებო წარწერით უდავო წესით დავალიანების გადახდევინებას საფუძველად უნდა დაედოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დავალიანების არსებობას. იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელთა მიხედვითაც დავალიანებას სააღსრულებო წარწერის საფუძველზე გადაახდევინებენ, უნდა განისაზღვროს კანონით.

ჩვენი აზრით, კანონმა უნდა გაითვალისწინოს სააღსრულებო წარწერის შესრულების ორი ძირითადი პირობა, კერძოდ, სააღსრულებო წარწერა შეიძლება გაკეთდეს: ა) თუ ნოტარიუსთან წარდგენილი დოკუმენტის მიხედვით უდავოა დავალიანება, ან მოვალის სხვა ვალდებულება გამამხდევინებლის წინაშე; ბ) თუ წარმოდგენილი დოკუმენტებით დადასტურებული ვალდებულებების მიხედვით სარჩელზე უფლების წარმოშობის დღიდან არ გასულა კანონით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები.

სააღსრულებო წარწერის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე ვფიქრობ, აუცილებელია მოხდეს სათანადო ცვლილებები რიგ ნოტარიულ აქტებში, კერძოდ:

ა) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის, ან ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერის გარეშე“.

ბ) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციას“ უნდა დაემატოს ცალკე თავი სახელწოდებით „ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერა“, რომელშიც დეტალურად იქნება რეგლამენტირებული სააღსრულებო წარწერის შესრულების წესი და პირობები. ამასთან, ეს წესი და პირობები შეიძლება მეტნაკლებად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ვალდებულებების აღსრულება ხდება უდავო წესით.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. სანოტარო დოკუმენტს გააჩნია განსაკუთრებული მტკიცებულებითი ძალა. მისი მტკიცებულებითი ძალა განპირობებულია იმით, რომ მასში მოცემული

გარემოებები და ფაქტები შეკრებილი, შემეცნებული და შეფასებულია ნოტარიუსის მიერ კანონის დაცვით და ლოგიკის ზოგადი წესების შესაბამისად;

2. სანოტარო დოკუმენტში გადმოცემულ თითოეულ დებულებას გააჩნია ფაქტობრივი საფუძველი პირველადი დოკუმენტების სახით, რომელთა ჩამონათვალი მითითებულია თვით სანოტარო დოკუმენტში. სწორედ ამიტომ მასში ასახულ მხარეთა ნებას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ფაქტებსა და გარემოებებს მინიჭებული აქვთ ნამდვილობის სტატუსი და უდავო ხასიათი;

3. მემკვიდრეობის საქმეებზე მამკვიდრებელთან გარდაცვლილი პირის ზუსტი იდენტიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. იდენტიფიკაციისას ნოტარიუსი ეყარება გარდაცვალების მოწმობას, რომელის რეკვიზიტები ჯერჯერობით არასრულყოფილია, რაც ქმნის შეცდომების დაშვების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დაისვას საკითხი გარდაცვალების მოწმობაში ისეთი რეკვიზიტების შეტანის შესახებ, როგორცაა: 1. გარდაცვლილის დაბადების თარიღი; 2. გარდაცვლილის დაბადების ადგილი; 3. გარდაცვლილის ბოლო საცხოვრებელი (რეგისტრაციის ადგილი);

4. სანოტარო დოკუმენტის აღსრულებითი ძალა გამოიხატება იმაში, რომ მხარეები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან და შეასრულონ სანოტარო დოკუმენტის ყველა დებულება. სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან და შეასრულონ საჭირო მოქმედებები იმ უფლებათა რეალიზაციისათვის, რომლებიც დადასტურებულია სანოტარო დოკუმენტით;

5. სანოტარო პრაქტიკაში სააღსრულებო წარწერის შესრულების წესი სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იქნა უარყოფილი კანონმდებლის მიერ. ქონებრივ ურთიერთობებში არის მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც ვალდებულია შესრულებული უნდა იქნეს უდავო წესით, ხარჯიანი და გაჭიანურებული სასამართლო პროცესების გარეშე ნოტარიუსის მიერ შესრულებული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე.

6. სასამართლო და სანოტარო პრაქტიკა ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო წარწერის აღდგენას. ეს კი საჭიროებს შესაბამისად დასაბუთებულ საკანონმდებლო წინადადებების მომზადებას, რომლის საფუძველზე ახალი რედაქციით ჩამოყალიბდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი, ხოლო „ინსტრუქციას“ დაემატება სათანადო მუხლი, რომელშიც რეგლამენტირებული იქნება სააღსრულებო წარწერის შესრულების წესი და პირობები.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები:

1. იხ. ჰანს იაკობ პიუტცერი, ნოტარიატი კერძოსამართლებრივ სისტემაში, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, №1, 2001 წ. გვ. 36. მაკა ტყეუზაგას თარგმანი.

2. იხ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ. 1955 წ. გვ.16.
3. „ფაქტებში“ აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოქალაქეების მიერ ნოტარიუსის წინაშე განხორციელებული მოქმედებები, რომლებშიც ასახულია მათი ნება.
4. უფრო დაწვრილებით იხ.: ლელა ინწკირველი, „სამემკვიდრეო საქმეთა წარმოება: საკანონმდებლო პრობლემები და სანოტარო პრაქტიკა“, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“ №2, 2001 წ.გვ. 87-88.
5. ამჟამინდელი ფორმა შეიცავს ასეთ პუნქტს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მისი შევსება კონკრეტული ნომრით (თერთმეტნიშნა ციფრი) ვერ ხერხდება, რადგანაც გარდაცვლილს ხშირად არ გააჩნია ასეთი ნომერი.
6. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სანოტარო პრაქტიკა არ იცნობს მოწმის ინსტიტუტს, პირიქით, იგი ფართოდ გამოიყენებს მოწმის ინსტიტუტს და განსაზღვრული სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას მოწმის მონაწილეობას კანონი სავალდებულოდ თვლის, მაგრამ აქ მოწმეს შედარებით სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას.
7. იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ.1983 წ.
8. იხ. ჰანს-იაკობ პიუტცერის დასახელებული ნაშრომი, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, 2001 წ. №1, გვ. 35.